

სამოქალაქო ღირებულებების კვირა. ადამის სამოთხიდან განდევნის ხსენება
(მიტევების კვირა 01 მარტი 2020 წ.)

დღეს ეკლესია იხსენებს ცოდვით დაცემას და ადამის და ევას სამოთხიდან გაძევების - საშინელ ტრაგედიას, რომლის გამოც კაცობრიობამ იზარალ თავიდანვე თავისი ყოფადობა.

როგორც ვიცით, ღმერთმა ადამი შექმნა თავის უფალ ნებით რომ მას ღმერთთან ურთიერთობაში მუდმივ ბედნიერებაში ეცხოვრა. სამწუხაროდ ადამიანმა ბოროტად გამოიყენა ეს თავის უფლება და თავისი დაუმორჩილებლობით შეურაცხყო ღმერთი. ადამ და ევა მ ეშმაკს დაუჯერეს, ეს პირველი ბოროტების წყაროა, რამაც გამოიწვია მათი ცოდვით დაცემა და სამოთხიდან განდევნა.

როგორც ჩვენ გვიხსნის სახარება, ღმერთი-სიყვარულა. ღმერთს სურდა, რომ ადამს და ევას მათი შეცოდებიდანვე ეგრევე გაეთვითვნებინათ თავიანთი ცოდვა და მოენანიებინათ რათა მიტევება მოეპოვებინათ სამწუხაროდ ისინი მყარად და რჩენ თავიანთ ცოდვებში და არ მოინანიეს. უფრო უარესი, ისინი ცდილობდნენ თავი ემართლებინათ ისინი ერთმანეთს ადამაშა უღებდნენ იმაში, რაც მოხდა. ადამი ამტყუნებდა ევას, ამბობდა, რომ სწორედ ევამ უთხრა მას ეს გაეკეთებინა. ევა გველს ამტყუნებდა, ამბობდა: „ გველმა მაცდუნა მე, და მე შევჭამე" (დაბ. 3:13). სწორედ ურჩობამ და ცოდვების არ აღიარებამ გაწირეს ისინი სამოთხიდან გაძევებასა და ღმერთთან ურთიერთობაში შეუძლებელ ცხოვრებაზე. მათმა ცოდვებმა მთელი კაცობრიობისათვის ტრაგიკული შედეგი გამოიწვია.

სამოთხიდან განდევნიდან ჩვენი წინაპრების ცხოვრება მკვეთრად შეიცვალა. მათი სამუშაო, რომელიც სამოთხეში სასიხარულო და ნაყოფიერი იყო, გახდა მკაცრი და იძულებით სავსე. მხოლოდ ოფლით შექმლით მათსაკვების მოპოვება, რადგან ეხლ მინდვრებში სამოთხის ყვავილებისა და ნაყოფის მაგივრად იყო ეკალი და ბარდა. მწუხარებამ, ავადმყოფობამ, სტიქიურმა უბედურებებმა, დაკარგვამ და მძიმე მუშაობამ, მიიყვანა ისინი ღრმა სასოწარკვეთილებამდე (იხ. დაბ. 3:18). ისინი სამოთხის ბაღიდან განდევნილები იყვნენ, სადაც ყველფერი იყო, ისინი გლოვობდნენ ტრაგიკული დანაკარგის გამო, რომელშიც მთლიანად თვითონ იყვნენ დამნაშავენი. ისინი წუხდნენ, რომ დაკარგეს ედემი, ადარებდნენ სამოთხეში ცხოვრებას ყოველდღიურ სიძნელეებს, ტანჯვას ღრმა მწუხარებას ეძლეოდნენ. საუკუნეები გრძელდებოდა დედამიწაზე კვნესა და ტირილი ადამიანებისათვის თავიანთი ცოდვების გამო.

შესაძლებელია, ვიღაც იკითხავს: რატომ სწორედ დღეს გვანსენებს ეკლესია ამ დიდ ტრაგედიას? მიზეზი იმაში მდგომარეობს, რათა მოგვამზადოს ჩვენ დიდი მარხვისთვის, რომელიც ხვალ იწყება. ადამი და ევა წინ აღუდგნენ ღვთის ნებას თავი შეეკავებინათ და შეჭამეს აკრძალული ნაყოფი. ჩვენ ვფიქრობთ დღეს ცოდვის მომაკვდინებელ შედეგებზე, რათა ყოველთვის გვანსოვდეს ის სულიერი დაცემა, რომელსაც მიეცემიან ადამიანები, რომლებიც არ მარხულობენ და ეწინააღმდეგებიან ღმერთს.

პირიქით, ჩვენ შეგვიძლია ღვთის ნებას მივყვეთ და ბრწყინვალე სიხარულით მივქსალმოთ დიდი მარხვის დაწყებას. კითხვა, ლოცვა და დღევანდელი დღის პიმნი მიგვმართავს ჩვენ ამ

დიდი სულიერი მიზნისკენ. მოდით შევუდგეთ დიდ მარხვას და მივიღოთ ის, ვიცხოვროთ სახარებით და ამით გავხდებით სამოთხისა და უფლის ღირსები (სალამოს მე - 4 - ესტრიქონი). ამის გარდა, მოდით ვთხოვოთ უფალს გონება გაგვინათოს, რათა შემდეგ არ დავიტოვოთ თავი სამოთხიდან განდევნისას, როგორც ადამი, არამედ გავხდეთ ღირსნი ზეციური სამოთხეში ტკბობისა (სალამოს კათანიზმი).

არიან ქრისტიანები რომლებიც უარს ამბობენ მარხვაზე და ცოტას ფიქრობენ ამის შესახებ, შესაძლოა იმიტომ, რომ ისინი მობილუ ზებულები არიან უფრო „მალაქ“, უფრო „სულიერ“ საკითხებზე. ისინი ფიქრობენ, რომ მათ მარხვა არ სჭირდებათ მითუმეტეს რომ, თავად იესო ქრისტე გავიდა უდაბნოში და ორმოც დღიანი მარხვა დაიცვა. წმ. მოციქულებიც და პირველი ქრისტიანებიც მარხულობდნენ. წმ. სამოციქულო კანონებმა დააწესეს დღეები და განაწესი მარხვისთვის. გამოცდილებიდან ჩვენ ვიცით ის უპირატესობა, რომ ელც მარხვას მოაქვს მორწმუნეთა ცხოვრებაში. რა თქმა უნდა მარხვა თვითმიზანი არ არის. თუმცა, ის წარმოადგენს ძვირფას საშუალებას სულიერი ზრდისათვის და იმ უმაღლესი მიზნების მისაღწევად რომელიც ჩვენ საკუთარი თავის წინაშე დავაყენეთ ეს იმიტომ ხდება, რომ მარხვა და ღვთისადმი მორჩილება განუყოფლები არიან და სწორედ ასე გადმოღის ღვთის მაღლი ჩვენზე. მარხვა აუცილებელია რათა ღირსნი გავხდეთ სული წმინდის მაღლისა და მივისწრაფოდ ღვთისადმი ურთიერთობისაკენ (გქნლმრთობა). წმ. ეკლესიის წესდება ითვალისწინებს, რომ ადამიანებს, რომლებსაც ჯამრთელობისა, ან ფიზიკური სისუსტის გამო არ შეუძლიათ მარხვა დაიცვან, არ უნდა მიიღონ თქვიანთ თავზე ეს ტვირთი. თავიანთი სულიერი მოძღვრებისაგან ქრისტიანებმა შეიძლება მიიღონ მზრუნველობა და სწავლება და ისე დაიცვან მარხვა თავიანთი შესაძლებლობების მიხედვით ასე ღვთისადმი და ეკლესიისადმი მორჩილება, რომელიც მარხვის დაცვაში მდგომარეობს, არ ირღვევა.

ჩემო ძმებო და დებო, ხვალიდან დიდი მარხვის დაწყებისას, მოდით ჩვენი მზერა ქრისტეს მივაპყროთ რომელიც შემდგომ ჯვარზე მიკრული, იტანჯა იმისთვის, რათა ყველს ადამიანისთვის სამოთხის კარი გაეღო. ღვთისადმი მაღლიერებისა და მისთვის მოდით წავიდეთ სულიერ მსხვერპლზე და მარხვა დავიცვათ როგორც შეგვიძლია უკეთესად ისე, როგორც მან დაგვიწესა.

საკვებისაგან თავშეკავებით, ჩვენ აგრეთვე შეგვიძლია ჩვენს კეთილსიმყოფელ ქრისტეს მივუძღვნათ სულიერი მარხვა, როგორც თქვა ღვთისნიერმა მამამ, წმ. ვასილი განმანათლებელია:

„სანიმუშო მარხვისთვის არ არის საკმარისი საკვებისაგან თავშეკავება; ... ჭეშმარიტი მარხვა - ბოროტებისაგან განდგომა, მდუმარება, საკუთარ თავში რისხვის ჩაკვლა, ვნებებისაგან განთავისუფლება, ბოროტისტყვაობის, ტყუილის, და ფიცების, ყველს ფრის ამისაგან თავშეკავება, არის ნამდვილი მარხვა“ (ვასილი დიდი, მარხვის შესახებ, 2:7. C.31:196D).

მოდით ჩვენს გულუბში ღრმა სინანულის მონდომებით შევუდგეთ „სათნოების ბილიკს“, ავიღოთ ჩვენს თავზე სულიერი ბრძოლის გმირობა დიდი მარხვის განმავლობაში და მისი დამთავრების შემდეგაც, ღირსნი გავხდეთ სუფთა სულით თავყვანი ვცეთ ქრისტეს

**წმ. ვნებებს და შევხვდეთ ჩვენი იესო ქრისტეს ბრწყინვალე
აღდგომას.**

Homily Sunday 1st March 2020